დანართი №1. ძირითადი სასწავლო საქმიანობა

1. წინამდებარე დადგენილების თანახმად, ძირითადი სასწავლო საქმიანობა მოიცავს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის მიერ ლექციის, სემინარის, ლაბორატორიული მეცადინეობის და პრაქტიკული მეცადინეობის (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტის) ჩატარებას და იზომება საკონტაქტო საათების რაოდენობით სასწავლო წლის განმავლობაში, ასევე, სასწავლო, საველე ან პროფესიულ პრაქტიკას, სამედიცინო-სასწავლო კონსილიუმების ჩატარებას, რის საფუძველზეც სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს კრედიტი და ასახულია სასწავლო პროგრამის კურიკულუმში.

2. ძირითად სასწავლო საქმიანობაში ერთიანდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა სასწავლო კურსის მომზადება/განახლება, სილაბუსის შედგენა/განახლება, სააუდიტორიო მუშაობისთვის მომზადება (კონსპექტის, რიდერის, ლიტერატურის მომზადება/განახლება, ელექტრონული რესურსების განახლება, კონსულტაცია, ელექტრონული პრეზენტაციის მომზადება/განახლება, ,,Moodle" - ში კურსის წაყვანა), შუალედური გამოცდის მომზადება, საბოლოო გამოცდის მომზადება, დამატებითი გამოცდის მომზადება, შუალედური გამოცდის შესწორება, ელ. ჟურნალში შეტანა, საბოლოო გამოცდის შესწორება, ელ. ჟურნალში შეტანა, დამატებითი გამოცდის შესწორება, ელ. ჟურნალში შეტანა, მიმდინარე დავალებების/ტესტების/დამოუკიდებელი სამუშაოს/ლაბორატორიული სამუშაოს მომზადება, მიმდინარე დავალებების/ტესტების/დამოუკიდებელი სამუშაოს/ლაბორატორიული სამუშაოს გასწორება, საველე პრაქტიკის მომზადება, საველე პრაქტიკის ანგარიშის გასწორება, პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელობა, პროფესიული პრაქტიკის ანგარიშის მომზადება და/ან შესწორება.